მზის სისტემა – დისტანციური გაკვეთილი ბუნებისმეტყველებაში

ავტორი: **ნათია უჩავა**

ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, დისტანციური სწავლება ერთ-ერთი საინტერესო გამოწვევაა. ვცდილობ, გაკვეთილები ისე დავგეგმო, რომ ის იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი. საკლასო ოთახში ჩატარებული გაკვეთილები ზოგჯერ არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ მუდმივად გამოვიყენო პროექტორი და ეკრანი, მოსწავლეებს ვაყურებინო დამატებითი საინფორმაციო ვიდეოები და ა.შ. დისტანციური სწავლების დროს კი ეს ყველაფერი ძალიან მარტივია. მარტივია, რადგან თავისუფლად შემიძლია გავუზიარო მოსწავლეებს ჩემი ეკრანი (microsof teams-ის საშუალებით), ვაყურებინო თემასთან შესაბამისი შემეცნებითი ანიმაციები, ჩემ მიერ მომზადებული პრეზენტაციები და ა.შ.

გაკვეთილის ჩატარებამდე ყოველთვის ვცდილობ, მოვიძიო თემის ირგვლივ არსებული მასალები ან თავად შევქმნა ის. შემოგთავაზებთ ბუნების ერთ გაკვეთილს, რომელიც დისტანციურად ჩავატარე.

ჩემი გაკვეთილის თემა იყო მზის სისტემა. ძალიან საინტერესოდ და მრავალფეროვნად შემეძლო ამ გაკვეთილის მოსწავლეებთან მიწოდება. ამიტომ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი, პირველ რიგში პრეზენტაციის სახით ავაწყვე, რომელიც გაკვეთილზე გავუზიარე ჩემი ეკრანით. ამის შემდეგ კი დავიწყე ვიდეორესურსების მოძიება. ვნახე პლანეტებზე ვიდეო, რომელიც ვაყურებინე მოსწავლეებს. მიღებული ინფორმაციის გასამყარებლად პორტალ https://learningapps.org0-ზე კითხვებისაგან შევქმენი თამაში, რომელიც სახალისო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის.

მსჯელობისა და თემის ანალიზის შემდეგ გადავედით პრაქტიკულ სამუშაოზე, სადაც მიღებული ცოდნის ტრანსფერი უნდა მოეხდინათ. მოსწავლეებს გაკვეთილის დაწყებამდე წინასწარ ჰქონდათ მომზადებული ფერადი პლასტელინები და წებოვანი ფურცლები. (შეგიძლიათ მოსწავლეები ჯგუფებად დაყოთ და ისე იმუშაოთ). გაკვეთილის მსვლელობისას დავამზადეთ ფერადი პლასტელინისგან ცხრა სხვადასხვა ზომის ბურთულა: მზე და რვა პლანეტა. წებოვან ფურცლებზე კი მოსწავლეებმა ჩამოწერეს პლანეტები, რომლებიც შეუსაბამეს ბურთულას. ამით ჩვენ შევქმენით მზის ,,ოჯახის“ მოდელი.

მოსწავლეებს საშინაო დავალებად უნდა გაეფერადებინათ პლანეტები და ორი წინადადებით უნდა აღეწერათ ის.

©განათლების e- სახლი



ვფიქრობ, მოსწავლეებს მოსწონთ მსგავსი რესურსებით დატვირთული გაკვეთილები.

©განათლების e- სახლი